ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4327085

ნომერი: AR1652383

თარიღი : 26.12.2018

გაცემის თარიღი : 04.01.2019

გაცნობის თარიღი : 05.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორ. N34, N37-ის მიმდებარედ. ; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N37-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/34);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბეშოი ვასსეფ სადდეკ ვასსეფ --- პ/ნ 01491017519
- საჩხერე ს. დუნთა

ორგანიზაცია:

- შპს "მულტი ფლეგს" კოდი: 406180779

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 26 დეკემბრის AR1652383 განცხადებით მომართა ბეშოი ვასსეფ სადდეკ ვასსეფმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების

განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N37-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/34) #01.10.08.005.034 (1602 მ2) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი / შენობის (კომპლექსური – საცხოვრებელი) აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა ##01.10.08.005.144; 01.10.08.005.034 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება. რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის კოდი, კონფიგურაცია და ფართობი. დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო კოდის (ს/კ #01.10.08.005.147) (1611 კვ.მ) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირედეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.10.08.005.147, ფართობი 1611 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #902018123119; რეგისტრაციის თარიღი 26/12/2018 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #902018123119, რეგისტრაციის თარიღი 26/12/2018 წ.);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ · საკადასტრო კოდ(ებ)ი: #01.10.08.005.147, ფართობი: 1611 კვ.მ.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 იანვრის №3033996 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.